

**დამტკიცებულია**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის  
დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის  
№55 ბრძანებით

**მოდიფიცირებულია**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის  
კოლეჯის დირექტორის  
2020 წლის 21 მაისის  
№50 ბრძანებით

**სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა**

პროგრამის ხელმძღვანელი: ივანე პაპადოპოლუსი  
საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: [ivane.papadopolusi@railway.ge](mailto:ivane.papadopolusi@railway.ge)  
მობ. ტელ.: 591190269

თბილისი  
2020 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი / Rail Motor vehicles
2. სარეგისტრაციო ნომერი- 07117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში/ Secondary Vocational Qualification in Rail Motor vehicles (კვალიფიკაციის კოდი 0716)

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს: „ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები“, კოდი 0716, აღმწერი - „შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.“

#### 4. მიზანი

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის სპეციალისტი, რომლის საქმიანობის სფეროა რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობის მომსახურება.

#### 5. დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება.

#### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში, სალოკომოტივო დეპოსა და ელმავალ და ვაგონ მშენებელ ქარხანებში. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO შესაბამისი კოდები: სრულად 7233, 8211, 7421; ნაწილობრივ 8212, 7412

#### 7. სტრუქტურა და მოდულები

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, 10 კონცენტრაციის მოდულს 50 კრედიტის ოდენობით

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 20 თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 80 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 100კვირა.

ქართული ენის მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედ.
01	ქართული ენა A2	15
02	ქართული ენა B1	15
სულ:		30

ზოგადი მოდულები		კრედიტი
1.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
2.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
3.	მეწარმეობა 2	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
<b>ჯამი:</b>		<b>15</b>
საერთო პროფესიული მოდულები		კრედიტი
6.	საინჟინრო გრაფიკა	3
7.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
8.	რკინიგზების ზოგადი კურსი	3
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	6
11.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
12.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში	2
13.	მეტროლოგია	3
<b>ჯამი:</b>		<b>25</b>

კონცენტრაციის მოდულები		
რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა		
14.	მოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება/შეკეთება	6
15.	მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის შემოწმება/შეკეთება	6
16.	მოძრავი შემადგენლობის პნევმატურ-სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემის შემოწმება/შეკეთება	6
17.	მოძრავი შემადგენლობის პნევმატურ-სამუხრუჭე სისტემის შემოწმება/შეკეთება	6
18.	მოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	5
19.	მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	5
20.	მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	4
21.	მაღალი, დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემების გამართვა	2
22.	მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმება-შეკეთება	6

23. მოძრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ-გენერატორის შემოწმება-შეკეთება	4
<b>ჯამი</b>	<b>50</b>

## 8. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
3. გაიანგარიშოს ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
4. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას;
5. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები;
6. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილი;
7. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის წვეის ძრავა და დამხმარე მანქანები;
8. შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ-სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემა;
9. შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ-სამუხრუჭე სისტემა;
10. შეამოწმოს/შეაკეთოს სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობები;
11. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურა;
12. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურა;
13. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავა და ჰიდრომექანიკური რედუქტორი;
14. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ-გენერატორი;
15. გამოიყენოს მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემები.

## 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტი“ საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

## 10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

#### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

### **13. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი**

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე.

- დანართი 1. პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსი, სასწავლო გარემო და მატერილური რესურსი, ხელშეკრულებები;
- დანართი 2. პროგრამის დამტკიცების აქტი;
- დანართი 3. მიზანშეწონილობა
- დანართი 4. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;
- დანართი 5. პროგრამის დამატების საფასურის გადახდის ქვითარი;
- დანართი 6. ბაზრის კვლევა.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ივანე პაპადოპოლუსი



ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი

შოთა მარგიშვილი



ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი

მანანა მოისწრაფიშვილი


